პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ოთხშაბათი, 21 იანვარი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 15 (703) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე




## ლენინის საქმე ცოცხლობს და გაიმარჯვებს.

შესრულდა ერთი წელი, რაც მიწას მივაბარეთ ჩვენი საყვარელი ბელადი—ლენინი. დღეს უნებლიეთ ჩვენი აზრი უბრუნდება იმ საბედისწერო წუთებს, როდესაც მოხდა ეს საზარელი უბედურება. თითეული ჩვენგანი ღრმა აღელვებით ჰკითხავდა თავს ლენინი არ არის, რა იქნება შემდეგ? შევძლებთ უბელადოთ დაწყებულ საქმის განაგრძობას? და თითეული ბოლშევიკი, რომლის გული ღრმად დასჭრა უსაყვარელესი ადამიანის სიკვდილმა და რომლის სიმტკიცე თითქოს შეირყა, მყისვე აძლევდა პასუხს—მე ლენინის ნაწილი ვარ და როგორც ასეთს არ შემშვენის მერყეობა, ჩვენ უბელადოთ უნდა ვიაროთ მტკიცეთ და მხოლოდ მაშინ ვიქნებით მისი მოწაფის სახელის ღირსიო. ასეთ პასუხს აძლევდა ის თავის თავს და მასთან ერთად თითეული მუშა, გლეხი და ყველა ის ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლება და მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვება.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, დრო, რომელიც თავისი შინაარსით მთელ საუკუნოებს შეედრება. და ისმება საკითხი: რა გავაკეთეთ, წავედით წინ თუ უკან დავიხიეთ? შევსძელით თუ არა ბელადის მიერ დაწყებული საქმის გაძღოლა მის გარეშე? პასუხი ერთია—მიუხედავათ ასეთი დიდი დანაკლისისა, საბჭოთა კავშირი მტკიცედ მიიწევს წინ აღორძინებისა და აყვავების გზაზე. მას ხელმძღვანელობს ლენინის მიერ აღზრდილი ბრძოლაში გაკაჟებული და გამობრძმედილი კომუნისტური პარტია.

არც ერთ წუთს ბელადის გარდაცვალების შემდეგ არ შერყეულა მისი პარტიის რიგები, პირიქით რაც დღე მიდის მით უფრო და უფრო იზრდება მისი რიგები, უფრო მტკიცდება და ფოლადდება. კომუნისტური პარტია დღეს არის უდავო ბელადი არა თუ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასების, არამედ ყველა კულტურული და მეცნიერულ ძალების, როგორც ეს დამტკიცდა ეხლახან დათავებულ მასწავლებელთა ყრილობაზე. ლენინის საქმე სცოცხლობს და ვითარდება. მისი იდეები ხორცს ისხამენ და სინამდვილეთ ხდებიან. ლენინის ძლევამოსილი ლაშქარი იზრდება, არა მარტო იქ სადაც დღეს ფრიალებს გამარჯვებული წითელი დროშა, არამედ იქაც, სადაც დღეს დღეობით ბატონობს კაპიტალი.

ჩვენი მტრები ბელადის სიკვდილის შემდეგ მოელოდენ მისი საქმის დასამარებას. სინამდვილემ სულ სხვა დაამტკიცა. პარტია და ხელისუფლება მტკიცედ მიიწევს წინ ლენინიზმის გზით. მარცხდება და კოტრდება კაპიტალიზმი და მისი ერთგული მოსარჩლე საერთაშორისო მენშევიზმი.

ლენინმა უჩვენა გზა ყველა ქვეყნის პროლეტარებს და დაჩაგრულ ერებს, რომლითაც ისინი მოიპოვებენ თავისუფლებას და ბედნიერებას. ეს გზაა დაუნდობელი, შეუბრალებელი რევოლიუციონური ბრძოლა კომინტერნის მეთაურობით კაპიტალიზმის წინააღმდეგ. და ამ გზაზე დგებიან დაჩაგრულთა და წამებულთა მილიონები.

მტკიცედ იცავს და ანხორციელებს ამხ. ლენინის ანდერძს წითელ არმიელი, ფხიზლად უთვალთვალებს ის საბჭოთა კავშირის მტრებს და აძლიერებს თავის რიგებს სამხედრო მომზადებით

ყველაფერი კი რაც შეიქმნა ლენინის თაოსნობით სოციალიზმის გასამარჯვებლად სცოცხლობს, იზრდება და შეუჩერებლივ მიდის გამარჯვებისაკენ. დღეს, როდესაც ჩვენ თავს ვიხრით საყვარელი ბელადის სამარეზე, კიდევ ერთხელ ფიცს ვდებთ მის წინაშე, რომ მის მიერ ნაჩვენები გზით განვაგრძობთ მის საქმეს და მივიყვანთ მას სრულ გამარჯვებამდე.

ამის საწინდარია ის, რომ ჩვენ ჩინებულად ჩავაბარეთ საამისო გამოცდა ამ ერთი წლის განმავლობაში.

## ლენინი.

ერთი წელია რაც პარტიამ და მუშათა კლასმა დაჰკარგა თავისი უსაყვარლესი ბელადი ლენინი. სიკვდილის დაუნდობელმა ხელმა მოჰკვეთა სიცოცხლე იმ ადამიანს, რომელმაც უმაგალითო გონების სიღრმავით და გამჭრიახობით ასწონა რევოლიუციის მამოძრავებელი ძალები, აღზარდა და გააფოლადა მუშათა კლასის ავანგარდი კომუნისტური პარტია, შემოკრიბა მის გარშემო მშრომელი ხალხი, დარაზმა ის და გაუძღვა კაპიტალიზმის დასამხობათ.

ადამიანს, რომელმაც შეასხა მარქსიზმის იდეებს ხორცი, გაუძღვა მუშათა კლასს მის საბოლოვო მიზნების განსახორციელებლად და მიყავდა ის გამარჯვებიდან-გამარჯვებისკენ, არ შეიძლება არ მოეხვეჭნა დიდი ბელადის სახელი და ამიტომაც არის რომ მსოფლიო მუშათა კლასი უდიდესი აღტაცებით, სიყვარულით და კმაყოფით მარქსთან ერთად, უწოდებს მას, თავის ერთად ერთს უსაყვარლეს და საუკეთესო ბელადს.

ლენინი ეს დამხობაა მტარვალთა ალვირ-ახსნილობის.

ლენინი ეს აზიელი მონისათვის ადამიანურ უფლებების მინიჭებაა.

ლენინი ეს განთავისუფლებაა დაჩაგრულ ერების.

ლენინი-ეს შთანთქმაა ძველი ქვეყნის და შობა ახალის, სოციალისტურის.

ლენინი-ეს სიკვდილია კერძო საკუთრების სამეფოსი და გამეფება კომუნიზმის. აქეთკენ მიუძღვებოდა ის კაცობრიობას და, მან, რომელმაც შესძრა მთელი ქვეყანა, სიკვდილის ბნელ კანონებთან ბრძოლაში სამუდამოთ დახუჭა თვალები.

სიკვდილმა მოგლიჯა მუშათა კლასს ის კაცი, რომლის არსებობა ყველაფერი იყო მისთვის.

ერთი წელია მას შემდეგ, მაგრამ აზრი მაინც არ ურიგდება მწარე სინამდვილეს. გინდა ხედავდე მას ცოცხალს, რომ ჰუჭავს თვალს, რომ უღიმს ტუჩი, რომ ელვარებს შუბლი, რომ აპობს სიბნელეს და მიგვიძღვის სინათლისაკენ.

მაგრამ არა, აღარ გვყავს ლენინი......

ეს სიტყვები ტყვიასავით ხვდება გულს... სალი გონება, მაინც ემორჩილება მწარე სინამდვილეს და ჩვენ ვიყრით რა მუხლს უსაყვარლეს ცხედრის წინაშე მძიმე ამოხვრით ვამბობთ: „მოკვდა ლენინი... მოკვდა ლენინი, მაგრამ სცოცხლობს ლენინიზმი“.

დე ის, რაც იყო ლენინში, ლენინიზმის სახით გვიშუქებდეს ჩვენ გზას.

დეე, მუშათა კლასს გაეხადოს თავის უწმინდეს მოვალეობათ ამ გზით ბრძოლა და გამარჯვება!

დე, კრთოდეს მტარვალი, როს დღეს, უსაყვარლესი ბელადის გარდაცვალების ერთი წლის თავზე ციხე-ჯურღმულიდან, გამურულ ქარხნიდან, ნესტიან სარდაფიდან და გამქვარტლულ ქოხიდან მოჰქუხს ერთი ხმა: გაუმარჯოს ლენინიზმს!

გ. ფოფხაძე.

# ერთი წელი უგელადოთ.

(21) 1—1924 წ. 21 ɪ)—1925 წ.)

გავიდა ერთი წელი, რაც ამხ. ლენინი, ჩვენი ხელმძღვანელი და მასწავლებელი მოსწყდა ჩვენს რიგებს.

ერთი წელი ჩვენ გავატარეთ ბრძოლაში გამობძმედილი ხელმძღვანელის გარეშე, იმ დიად პიროვნების გარეშე, რომელმაც შექმნა, შეამჭიდროვა, მისცა რკინისებური დისციპლინა და ფოლადისებური ნებისყოფა, რომელმაც საძირკველი ჩაუყარა და აღზარდა კომუნისტური პარტია; ერთი წელი ულენინოთ დიდი დროა ჩვენთვის, ისეთ პირობებში, რომელშიდაც ჩვენ გვიხდებოდა ცხოვრება, გარედან ალყა შემორტყმული იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ და შიგნით ეკონომიური დაქვეითება ხანგრძლივი იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების მიერ გამოწვეული.

რა შრომა და ენერგია იყო საჭირო—ეს ერთი წელი, რომელიც მეტად მძიმე იყო ჩვენთვის, რომლებიც ვიყავით ამხ. ლენინის ხელმძღვანელობას მოკლებული, რომ გაგვეტარებია ისე, როგორც ამას მოითხოვდა საერთო პირობები ჩვენი ცხოვრების, შეგვენარჩუნებია ის, რაც გვქონდა მიღწეული მისი ხელმძღვანელობით; მაგრამ ჩვენმა პარტიამ გადალახა ყველა ის ზღუდეები, რომლებიც მას გზას უღობავდა და ჩვენ დღეს ვართ გაცილებით უკეთეს პირობებში, ვინემ წინათ. ჩვენი მტრების მოლოდინი რომ ლენინის სიკვდილით საბჭოთა მთავრობა—პროლეტარული რევოლიუცია დაიღუპება—არ გამართლდა. მათ დაავიწყდათ, რომ ლენინმა დაგვიტოვა ის პარტია, რომლის სულის ჩამდგმელი თვით იყო; მათ დაავიწყდათ, რომ ლენინმა დაგვიტოვა უამრავი გამოცდილება, მან დაგვიტოვა ლენინიზმი, რომლითაც სცოცხლობს და სულდგმულობს სსრკ; მან დაგვიტოვა ის უკვდავი პრაქტიკა და თეორია, რომელზედაც იზრდებიან მილიონიანი მასები მსოფლიო მუშათა კლასისა.

მთელი წელიწადი ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს—ჩვენს პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას, არა ერთი და ორი ნაბიჯი გადადგა მან შეესრულებია ის ანდერძები, რომლებიც ამხ. ლენინმა დასტოვა. უპირველეს ყოვლისა განემტკიცებია პარტიის რიგები და აქ ჩვენ ვხედავთ შემდეგს: ჩვენი პარტია დარჩა ნამდვილი ლენინური—ბოლშევიკური პარტიათ. თუ 1922 წ. ჩვენი პარტიის რიგები განისაზღვრებოდა 402 ათას წევრით, 1924 წ. ჩვენ გვყავდა 683,799 წევრი, მის პროლეტარული შემადგენლობა გაცილებით მეტია, ვიდრე წინეთ იყო.

1-ლ იანვრისთვის 1924 წ. 1-ლ ივნისი 1924 წ.

| | კომ. | მუშები | გლეხები | მოსამსახ. |
|---|---|---|---|---|
| 1-ლ იან. | 446000. | 44,0. | 28,8. | 27,72. |
| 1-ლ ივნ. | 663000. | 60,0. | 20,6, | 19.4. |

თუ რომ 1922 წელს მუშები შეადგენდენ 44 პროც. ჩვენი პარტიისას, დღეს შეადგენს 60 პროცენტს, რაც ნიშნავს პარტიის რიგების განმტკიცებას, მის მაღლა აწევას და წინსვლას ლენინის სიკვდილის შემდეგ ჩვენმა პარტიამ ჩაიბარა დიდი გამოცდები.

1) შინა პარტიულ დემოკრატიის დისკუსია და

2) ამხ. ტროცკის უკანასკნელი გამოსვლა, რომლის მიზანი იყო ლენინიზმის ტროცკიზმის შეცვლის და რომელიც მთელმა პარტიამ დაგმო.

ეს უკანასკნელი გზა, როგორც ერთი გამოხატულება ტროცკიზმის სახით-მენშევიკური მიმართულების პარტიაში.

აქ უკვე დაიჭირა პარტიამ ეგზამენი, და ის განაგრძობს გზას კომუნიზმისაკენ ძველი გამოცდილი ლენინის გზით.

თუ ჩვენი ხელისუფლება ერთი წლის წინათ კიდევ ვერ იყო იმდენათ მომაგრებული, რომ ბევრს ეჭვსაც უბადებდა, დღეს თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დროებითი შესვენების ხანა უფრო ხანგრძლივია, ვინემ ეს იყო როდესმე.

ჩვენი საგარეო და შინაური პოლიტიკა უფრო მტკიცეა, ვინემ ეს ერთი წლის წინათ იყო. მთელმა რიგმა სახელმწიფოებისამ გვიცნო. ჯერ კიდევ ლენინის სიკვდილამდე ვგონებ, რამოდენიმე დღის წინათ გვიცნო ინგლისმა; შემდეგ მას მიყვა, მთელი რიგი სახელმწიფოების—ამ უკანასკნელად კი ყველაზე უფრო მტრულად განწყობილმა საფრანგეთმაც გვიცნო.

ჩვენს წინ სდგას მეორე არა ნაკლებ მტრულად განწყობილი სახელმწიფო—ამერიკის შეერთებული შტატების სახით, რომელმაც დღეს თუ ხვალ უნდა გვიცნოს. ერთი სიტყვით ლენინის სიტყვები, რომ ადრე თუ გვიან იმპერიალისტური სახელმწიფოები იძულებული იქნებიან ჩვენ გვიცნონ, გამართლდა.

დღეს თითქმის არ არის არც ერთი დიდი სახელმწიფო, რომელსაც არ ვეცვნეთ, ან დღის წესრიგში არ ქონდეს დასმული ჩვენი ცნობის საკითხი. ასეთია ლენინიზმის გამოცდილი გზა, რომელიც მან გვიანდერძა და რომლითაც ჩვენი პარტია მტკიცედ განაგრძობს სვლას.

ჩვენი შინაური სიმტკიცე დამოკიდებულია მუშათა კლასის და გლეხკაცობის კავშირზე. ეს უმთავრესი ამოცანაა, რომელიც გვიანდერძა ლენინმა-დღეს ჩვენი პარტიის დღის წესრიგში სდგას და ვანხორციელებთ მას. ამ მხრივ ჩვენ ბევრი გავაკეთეთ, ბევრიც წინ გვიდგას, მაგრამ აქაც ჩვენ შევძლებთ კიდევ უფრო კარგათ, ვინემ დღემდის, გადავლახოთ ყოველივე დაბრკოლებები და მით განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა.



ლენინი წითელ მოედნის მიტინგზე.

მეორე მხარე, რომელიც აუცილებლივ საჭიროა ეს შექმნა ისეთი ეკონომიური პირობების, რომელზედაც მრავლად არის დამოკიდებული, არა თუ მარტო მუშათა და გლეხთა კავშირი, არამედ თვით მუშურ-გლეხური მთავრობის არსებობის საკითხი. აქაც პარტიამ მიიღო სათანადო ზომები ახალი ეკონომიური პოლიტიკის ცხოვრებაში გატარების სახით, შემოიღო მტკიცე ფული ნიშნები, აიაფებს ნაწარმოებს და სხვა. ჩვენი „წარმოება წინ მიდის, ბევრ დარგში, მან უკვე აიწია 60-65 პრც. მდე ომამდე არსებულ ნორმისა. სოფლის მეურნეობა კი აღწევს 85-90 პროც.-მდე, მუშათა ხელფასმა გაცილებით წინ წაიწია, ის უდრის 70 პროც. რამოდენიმე დარგებში ომამდი, არსებულ ხელფასთან. ყველა ეს მაჩვენებელია-ჩვენი სიმტკიცის, ჩვენი ძლიერების, რომელსაც ვაღწევთ ლენინის ზით.

დღეს პარტიის დღის წესრიგში სდგას შრომის ნაყოფიერების აწევა და მით გაიაფება ყველა იმ საქონლის, რომელიც საჭიროა მუშების და უმეტეს გლეხების ცხოვრებაში.

ჩვენი მიღწევები ამ ერთი წლის განმავლობაში დიდი არის, ამას ბევრი ჩვენთაგანიც არ მოელოდა. აქედან გამომდინარეობს, ჩვენი წინსვლის საქმე და აქაც ჩვენ შევძლებთ გადავლახოთ ყველა ის დაბრკოლებები, რომლებსაც ალაგი ექნება ჩვენს ბრძოლაში მუშათა კლასის მტრებთან.

მართალია არა გვყავს ჩვენი ბელადი, ჩვენი ძვირფასი მასწავლებელი, არა გვყავს ვინც ბოლშევიზმის სული და გული იყო, მაგრამ გვყავს მის მიერ დაარსებული და აღზრდილი პარტია ბოლშევიკების, რომლის ხელმძღვანელობით ჩვენ შევსძლებთ, კიდევ უფრო კარგათ წავიდეთ წინ ლენინის გზით-კომუნიზმისაკენ. არა გვყავს ლენინი, მაგრამ უკვდავია ლენინიზმი, რომელიც გვასულდგმულებს, გვაძლევს ენერგიას, ინიციატივას და ბრძოლის უნარს. ლენინის გზით ჩვენ განვახორციელებთ, სისხლხორცს შევასხამთ ყველა მის ანდერძებს, ლახვარს ჩავსცემთ მტერს გულში-და უკვდავს გავხდით ძვირფასი მასწავლებლის სახელს სამუდამოთ.

მჭიდროთ ჩვენი რიგები „ლენინიზმის ლამპრით მიდამ ვილით ჩვენ, გადავლახავთ ყოველივე დაბრკოლებებს და განვამტკიცებთ საბჭოთა ხელისუფლებას ყოველივე მიზეზების გარეშე.

აი ჩვენი ლოზუნგი, რომლის გარშემო უნდა შემოკრბენ ყველანი, ვინც გულწრფელია, ვისთვისაც ძვირფასია ლენინის და მისი პარტიის სახელი და მუშათა კლასის გამარჯვება. მტკიცეთ, შეურყევლათ, მწყობრათ და გაიარულათ წინ კომუნიზმისაკენ.

ძირს მუშათა კლასის მტრები.

გაუმარჯოს ლენინიზმს.

ვ. სიხარულიძე.

# ლენინი და ეროვნული საკითხი.

როდესაც მსოფლიო იმპერიალისტური ომი დაიწყო 1914 წელში ბურჟუაზია და მენშევიკები აცხადებდენ, რომ ეს ომი არის დაწყებული წვრილ დაჩაგრული ერების განთავისუფლების მიზნით. მაგრამ სინამდვილემ სულ საწინაალმდეგო დაგვანახვა.

დაჩაგრული ერები არამც თუ არ განთავისუფლდენ, არამედ მათ რიცხვს მიემატა ისეთი მსხვილი ერებიც, როგორიც არის გერმანია, ავსტრია და სხვები. ჩვენ იმ თავითვე ვიყავით დარწმუნებული იმპერიალისტების თვალთმაქცობაში და ვიცოდით, რომ იმპერიალიზმი მუდამ ერების ჩაგვრის იარალი იყო არის და დარჩება ასეთი სანამ ის იარსებებს.

მეორე ინტერნაციონალი თუ ეხებოდა ამ საკითხს მხოლოდ იმდენად, რამდენად ეს შეეხებოდა ზოგიერთ კულტურულ ნაციებს, როგორიც არიან, მაგალითად, პოლონეთი, უნგრეთი, ირლანდია და სხვა.

კოლონიალური ხალხები ამ პარტიებისათვის თითქმის არც კი არსებობდენ. როდესაც მეორე ინტერნაციონალი სვამდა საკითხს ნაციონალურ თვითგამორკვევის მას ეს თვითგამორკვევის უფლება ჩამოყავდა კულტურულ ავტონომიის უფლებამდე, ე. ი. მოითხოვნა ზოგიერთ კულტურულ დაწესებულებათა უფლებისა, როდესაც რუსეთში მოხდა რევოლიუცია (თებერვალში 1917 წ.) და როდესაც ფინლიანდიის და უკრაინის ხალხმა მოითხოვა დამოუკიდებლობა ბ-ნი წერეთელი და კერენსკი უხეში მუქარით და უარყოფითად შეხვდნენ ამ მოთხოვნილებას.

როდესაც კიდევ ინგლისში ძალაუფლების სათავეში მოხვდა მეორე ინტერნაციონალის ერთი უმთავრესი პარტიათაგანი (ინგლისის მუშათა მთავრობა.) მისი ბელადი მაკდონალდი ჰაეროპლანებით და ტყვია მფრქვევებით უმასპინძლდებოდა ინდოეთის და სხვა ჩაგრულ კოლონიალურ ხალხების ნაციონალურ მოძრაობას.

ამხანაგმა ლენინმა სხვა მრავალ საკითხთა შორის ამ საკითხსაც ახადა ფარდა და გააშუქა ის რევოლიუციონურ მარქსისტული თვალსაზრისით. ლენინიზმი ნაციონალურ საკითხში აღიარებს არა მარტო კულტურულ ავტონომიას, არამედ სრულ ნაციონალურ დამოუკიდებლობას და ისიც არა მარტო კულტურულ ევროპიულ ერებისათვის, არამედ ყველა ნაციებისათვის, რომლებიც კი არსებობენ მსოფლიოში. ლენინიზმი გულისხმობს არა მყვირალა ფრაზებით განისაზღვროს კულტურულ ნაციების თვითგამორკვევის სასარგებლოდ, არამედ გულისხმობს ნამდვილ აქტიურ დახმარებას ყველა დაჩაგრულ ხალხებისადმი, მათ ბრძოლაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ არსებობისათვის.



ლენინის ცხედარი სარეცელზე.

მეორე ინტერნაციონალისათვის ნაციონალური საკითხი, როგორც კერძო საკითხი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს საერთოდ პროლეტარულ რევოლიუციასთან, ლენინიზმი ამბობს და ეს დაამტკიცა უკანასკნელ იმპერიალისტურმა ომმა და რევოლიუციამ რუსეთში, რომ ნაციონალური საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ საერთო პროლეტარულ რევოლიუციასთან დაკავშირებით და სხვა გზა არ არსებობს.

ოქტომბრის რევოლიუციამ დააყენა ნაციონალური საკითხი პრაქტიკულ ნიადაგზედ, წამოაყენა და განახორციელა ამხ. ლენინის ლოზუნგი ერთათვით გამოირკვევა საბოლოო გამოყოფამდის.

ნაციონალური საკითხის სწორად გადაჭრას თან არის დაკავშირებული საკითხი მუშების და გლეხების კავშირის შესახებ რის შესახებ ამხ. სტალინი ამბობს, რომ ნაციონალური საკითხის კლასიური შინაარსი მდგომარეობს სწორი ურთიერთობის განსაზღვრაში, ყოფილ გაბატონებულ ერის პროლეტარიატის და ყოფილ დაჩაგრულ ერის გლეხობის შორისო და რომ დამყარებულ იყო მართლაც ურთიერთ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა რუსეთისა და ყოფილ იმპერიის ტერიტორიაზე მოსახლე ერების შორის საჭირო იყო სრული დამოუკიდებლობა ამ ერებისა. ეს იქნებოდა საკითხის ლენინისტურად გადაჭრა ეს. ასეც მოხდა დე ამ ფაქტმა ე. ი. ფაქტმა ყოფილ ჩაგრულ ერთა დამოუკიდებლობის ცნობისა რუსეთის მიერ დაამყარა ნამდვილი ნდობა ამ ერთა შორის, მათი ძმური თანამშრომლობა ს. ს. რ. კავშირში, რომელიც არის წინამორბედი მთელი მსოფლიოს გაერთიანებისა შრომის სახელმწიფოში, რაც იქნება ამხ. ლენინის ერთერთი უმთავრესი ანდერძის განხორციელება.

ე. რამიშვილი.

# ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ.

## ᲘᲚᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲔᲑᲐ.

მახსოვს, ერთი წლის წინათ, ამ დროს როგორი შემზარავმა და გულის მომკვლელმა უიმედობამ მოიცვა ჩვენი გული. ოქტომბრის რევოლიუციის სულის ჩამდგმელის—უდიდესი ბელადის დაკარგვა გულს გვიკლავდა. გვეგონა ყველაფერი დაილუპებოდა, იმდენად იყო ჩვენში გამჯდარი ლენინისადმი სიყვარული. ბევრი მოფიქრება აღარ შეგვეძლო. განა გაგვამტყუნებდა ამაში ვინმე?

იმდენი განსჯის უნარი რომ გვქონოდა დაჩაგრულ ხალხს-მაშინ ხომ უფრო ადრე გავყვებოდით დიდი მასწავლებლის სიტყვებს.

უდიდესი მწუხარების წუთებში, ჩვენ წითელ-არმიელებს გვავიწყდებოდა ყველაფერი.

მაგრამ გაისმა ილიჩის პარტიის ძლიერი ხმა—„ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმი სცოცხლობს, კომუნისტური პარტია მით გაიკაფავს გზასო“

—მაშ ილიჩის საქმე არ დაილუპება ამხანაგებო, შემოვკრბეთ მისი პარტიის ირგვლივ. ვიბრძოლოთ ჩაგრული ხალხის განთავისუფლებისათვის, უკეთესი მომავლის—კომუნიზმისათვის—გაისმა წითელ არმიელებში.

გამართლდა. დიდი ბელადის ანდერძებმა გზა გაგვიკაფა. ლენინიზმი კაკობრიობის მხსნელად გადაიქცა. თანდათან იზრდება ლენინის პარტიები-სხვა და სხვა ქვეყნებში. ეწყობა ლურჯ-ხალათა მუშების რაზმები გადამწყვეტი ბრძოლისათვის და შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩამოჰკრავს ბურჟუაზიის სამგლოვიარო ზარები. გაიმარჯვებს თავისუფლება. ეს იქნება ის რაც ილიჩს სურდა.

ამხ. წითელ-არმიელებო ლენინმა მოგვცა ჩვენ იარაღი. ჩვენი ვალია მტკიცედ შევასრულოთ მისი ანდერძები, მაშინ არ დაილუპება ლენინის საქმე, მაშინ ვსცემთ პატივს მის ხსოვნას. დღეს გულის ტკივილით ვიგონებთ ილიჩს, მაგრამ სიმედგრეს გვმატებს მისი დაწყებული საქმე. ამხანაგური, ძმური კავშირით ჩავკიდოთ ხელები ლენინის მიერ გადმოცემულ წითელ დროშას და განვახორციელოთ მისი დიდი საქმე.

გაუმარჯოს ლენინიზმს, გაუმარჯოს მის ხსოვნას.

კურსანტი გრ. კოხრეიძე.




ლენინის აკლდამა წითელ მოედანზე.

## ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

დღეს სრულდება ერთი წელი, რაც დაობლდა მსოფლიო პროლეტარიატი. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოსტაცა მუშათა კლასს მისი საყვარელი ბელადი ვლადიმერ ილიჩი. ყველა წითელი არმიელისთვის ლენინის ანდერძი შეადგენს წმინდათა წმინდას და მის ასასრულებლად და განსახორციელებლად ჩვენ მუდამ მზათა ვართ შევსწიროთ საკუთარი სიცოცხლე.

ეს ანდერძი კი იყო ჩაგრულთა განთავისუფლება და პროლეტარული ძალთა უფლების დამყარება ყველგან დამყაყებული ბურჟუაზიული წესწყობილების მაგიერ.

ილიჩის გარდაცვალების წლის თავზე წითელ არმიელები ერთხელ კიდევ გავიმეორებთ: ჩვენ ფიცს ვდებთ დიდი მასწავლებლის ხსოვნის წინაშე, რომ ჩვენ მზათ ვართ მისი იდეისათვის თავდასადებათ და პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის საბრძოლველათ.

წით. არმ. გ. ბარათაშვილი.




ლენინი 1917 წელს ჯარის კაცთა მიტინგზე.

## ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲬᲕᲔᲗᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲕᲘᲪᲐᲕᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲔᲑᲡ.

17 იანვარს პირველ ლეგიონის უმწყობრო გუნდის და ცხენოსან მზვერავთა კომუჯრედში შესდგა გაერთიანებული ღია კრება. მოხსენებით გამოვიდა ლეგიონის ბიურო კოლექტივის მდივანი ამხ. გ. კვირაია. ამხ. ვრცლად შეეხო ილიჩის მოღვაწეობას, მის დაუღეგარ ბრძოლას და საქმიანობას მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეში.

**„მისი ხსოვნა ერთხელ კიდევ გვავალებს, რომ თავ გამოდებული დამცველები შევიქნეთ იმ საქმის, რომელსაც ლენინი აკეთებდა და მთელი თავისი ენერგია შეალია და სიცოცხლეც შესწირა.**

**მართალია ლენინი დღეს ფიზიკურად აღარ არის ჩვენთან, მაგრამ გვაქვს მისი მოძღვრება—ლენინიზმი, რომლითაც კომუნისტური პარტია გზას იკაფავს საუკეთესო მომავლისაკენ. ულენინოთ, მაგრამ ლენინიზმით ჩვენ გავიმარჯვებთ. ამის საუკეთესო თავდებია ერთი წლის ზანმავლობაში კომუნისტური პარტიის საქმიანობა—დაამთავრა ამხანაგმა თავისი სიტყვა.**

არმიელებმა მოხსენების გამო, მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ ილიჩის გარდაცვალების ერთი წლის თავზე ვიძლევით პატიოსან მხედრის ფიცს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ საყვარელი ბელადის მიერ დაწყებულ საქმეს და ანდერძებსო.

ახკორი მიხ. ოდიშარია.

## ᲒᲚᲝᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ.

დროშები შავად შემოგვიქარგავს
და მოგონებით ცრემლები გვცვივა,
ვის ვგლოვობთ ძმებო, ვინ დაგვიკარგავს
უზომოდ გული ვისზე შეგვტკივა?

შარშან ოცდა ერთ იანვარს ძმებო,
თავზე დაგვატყდა რისხვა და მეხი,
უცბად აკვნესდა შრომის სამეფო—
ყოველი ქვეყნის მუშა და გლეხი.

„არ გვყავს ბელადი დიდი გენია,
დავკარგეთ მამა დაუვიწყარი,
ცხოვრების მიზნად ეს შეგვრჩენია
რომ არ გავაქროთ მისი ლამპარი“.

შემოვკრბეთ ძმებო... ჩვენი რიგები
შევამჭიდროვოდ მტრის შესახვედრათ
დიდი ლენინის ბრძნულ დარიგებით
ჩვენ ლენინიზმი დავიცვათ მედგრად.

წ. არმ. დ. ზეფრაშვილი.

## ᲚᲔᲜᲘᲜᲘ-ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲔ ᲘᲧᲝ.

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სული დალია მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესმა ბელადმა. ილიჩის დაკარგვა უმთავრესად ჩვენი, ღარიბი, მშრომელი ხალხის დანაკლისია.

განა მისმა მხურვალე სიტყვებმა და საქმემ არ ჩაგვახედა ჩვენს თავში და გამოგვაფხიზლა, რომ უკეთესი მომავლისთვის—თავისუფლების, თანასწორობის და ძმობა ერთობისათვის შევბრძოლებოდით მყვლეფელ—მჩაგვრელებს?

განა მისმა საქმემ არ შეარყია მთელი ქვეყნიერება და ჩვენსავით არ გამოაფხიზლა ყველა ჩაგრულები? განა ამხ. ილიჩი არ იყო იმ პარტიის შემქნელი, რომელიც მის შემდეგ სათავეში უდგია მის დაწყებულ საქმეს და თავგამოდებით ემსახურება მთელი ქვეყნის ღარიბების—დაჩაგრულების და დამონავებულების განთავისუფლების საქმეს?

1923 წ. 21 იანვარმა სამუდამოთ გამოგვასალმა საყვარელ ადამიანს, მაგრამ მისი არჩეული გზით კვლავ განვაგრძობთ წინ სვლას.

ამხანაგო წითელ-არმიელებო, მჭიდროთ მოვიყაროთ თავი ჩვენი ღარიბი და ტანჯულ ხალხის გულის მესაიდუმლის—ილიჩის პარტიის გარშემო, რომელიც მედგრად ებრძვის ყველა მჩაგვრელებს.

დღეს 21 იანვარს, ილიჩის გარდაცვალების ერთი წლის თავზე წითელ-არმიელებმა—მშრომელი—ღარიბი ხალხის შვილებმა დავსდოთ ფიცი, რომ ერთგულად ვემსახურებით მის დაწყებულ საქმეს და ვიბრძოლებთ მთელი ქვეყნის მუშების გასანთავისუფლებლად.

ეს იქნება ძვირფასი ილიჩის ხსოვნისთვის საუკეთესო პატივისცემა.

ბრძოლაში გზას გაგვინათებს—ლენინიზმი და გაგვამხნევებს ლენინის ნათელი სახე.

გაუმარჯოს ლენინიზმს და მით შეიარაღებულ კომუნისტური პარტიის რიგებს.

წ. არმიელი ისაკი კოდუა.

## ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ.

ვინც რუსეთის მუშათა კლასის რევოლიუციონურ ისტორიას გაეცნობა, ის უსათუოდ ყოველთვის პირველ რიგში დაინახავს ამხ. ლენინს. ამხანაგმა ლენინმა ოთხმოცდაათიან წლებიდგან მოკიდა ხელი რევოლიუციის ხელმძღვანელობას, მას ამ ხანებში უხდებოდა ბრძოლა პირველ რიგში ნაროდნიკულ მიმართულებასთან, რომლებიც ებრძოდენ რუსეთში კაპიტალის განვითარებას და პროლეტარული კლასის შექმნას.

მეორე მხრივ ამხანაგ ლენინს უხდებოდა თვით სოციალ-დემოკრატიის რიგებში ბრძოლა სხვა და სხვა ოპორტიუნიზმთან.

ამხანაგმა ლენინმა მარქსისტულ დიალექტიკით ნიადაგი გამოაცალა ნაროდნიკულ მიმართულებას, რაც პირველ გამარჯვებათ უნდა ჩაითვალოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ისტორიაში. ლენინი ყოველთვის თავის რიგებშიდაც კი ყოველთვის ებრძოდა მარქსიზმის გაოპორტიუნისტებას და მუდამ ფხიზელი თვალი ეჭირა რომ პროლეტარიატის რევოლიუციონურ—კლასობრივი თვითშეგნება გაერღმავებია.

მენშევიზმთან ბრძოლას ბევრი ენერგია შესწირა ამხანაგმა ლენინმა და კიდევაც დაამარცხა. მეორე ს.-დ. პარტიის ყრილობაზე, სადაც ნათლად გამოირკვა მენშევიზმის წვრილ ბურჟუაზიული ხასიათი ორგანიზაციულ საკითხებში, როგორც მაგალითად პარტიის წევრობის საკითხი. ეს კითხვა რევოლიუციონურ პროლეტარულ პარტიისათვის უმთავრესი საკითხია, რადგანაც პარტიამ ყოველთვის უნდა იცოდეს თუ ვინ არის თავის რიგებში ან რას წარმოადგენს სოციალურად ის. ამით ამხანაგმა ლენინმა უდიდესი საფუძველი ჩაუყარა რევოლიუციის გამარჯვების საქმეს, რადგან მან ამით ისეთ ელემენტებს მოუყარა თავი პარტიის შიგნით, რომლებზედაც შეიძლებოდა დაყრდნობა რევოლიუციის მოსამზადებლათ და მოსახდენათ. მან ეს შეძლო. 1903 წ. შემდეგ იწყება ბოლშევიკების პარტიის შექმნა. ამ ბოლშევიკურ ფრაქციას ამხანაგი ლენინი მუდამ სათავეში ედგა და მუდამ ხელმძღვანელობდა მას. ის არ აძლევდა გასაქანს მის მოწინააღმდეგე ფრაქციას, (მენშევიკებს) რომლებიც მუდამ (და ეხლაც მით უმეტეს) იყვენ წვრილ ბურჟუაზიის ინტერესების გამტარებელი. 1908 წელში მენშევიზმმა უარყო არალეგალური მუშაობა და ლიკვიდაცია უყო მას. ჩვენ კი ამხანაგ ლენინის ხელმძღვანელობით დავრჩით იატაკ ქვეშ და განვაგრძობდით არა ლეგალურ მუშაობას ტახტის და მემამულეების წინააღმდეგ. დაიწყო იმპერიალისტური ომი. ამ ომში მენშევიკები ამოუდგენ გვერდში იმპერატორებს და მეფეებს და ერთი ხმაც არ ამოუღიათ ომის წინააღმდეგ. ამით იგინმა ნათლად დაამტკიცენ თავისი ერთგულება ბურჟუაზიისადმი. ამ დროს ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით იმართება შვეიცარიის ქალაქებში ციმერვალდში და კინტალში რევოლიუციონურ მუშათა პარტიების თათბირი სადაც ჩვენმა პარტიამ იმპერიალისტურ ომს გამოუცხადა ომი.

ლენინი რევოლიუციონურ მარქსიზმის განხორციელებაა ლენინი ეს უნიჭიერესი პრაქტიკა საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის, ლენინი უდიდესი დისციპლინაა პროლეტარული პარტიის. მან პროლეტარულ დისციპლინით და უძლიერეს ნებისყოფით შექმნა ჩვენი ბოლშევიკური პარტია, რომელიც მუდამ იქნება გამსჭვალული ლენინისეური დისციპლინით და მუდამ იამაყებს მით.

რა მოგვცა ლენინმა ოქტომბრის სახით?

რუსეთის მუშათა კლასმა და ღარიბეს გლეხობამ ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით პირველათ შექმნა მთელ დედამიწის ზურგის ერთ მეექვსედ ნაწილზედ ისეთი ხელისუფლება, რომელიც ისტორიას არ ახსოვს. ეს ხელისუფლება წალეკას უქადის დამყაყებულ და ძირ გამომპალ კაპიტალისტურ სამყაროს.

მან შექმნა საერთაშორისო მუშათა რევოლიუციის გენერალური შტაბი—კომინტერნი, რომლის არსებობა მოსვენებას არ აძლევს მის მოწინააღმდეგეს. შექმნა გლეხთა ინტერნაციონალი და წითელ პროფკავშირების ინტერნაციონალი.

ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ დაარსებულ ორგანიზაციების იდეია ეკუთვნის ამხ. ლენინს. დღეს მართალია ერთი წელი გადის, რაც ლენინი ფიზიკურად მოშორდა თავის საყვარელ პარტიას, მაგრამ პარტია, როგორც მთლიანი ყოველთვის დარაჯათ დგას ლენინის მიერ ნაჩვენებ გზაზე. ამხანაგ ლენინის დასახულ მიზნების განხორციელებას სჭირდებოდა ყოველთვის დაკვირვებულათ მიდგომა და შეფასება, რომ რაიმე შეცდომა არ იქნეს დაშვებული მის ანდერძების განხორციელებაში. ამიტომ მშრომელი კლასის ინტერესს შეადგენს, რათა კარგათ გაეცნოს ამხ. ლენინის შემოქმედებას, მის იდეებს, რაც გაგვიადვილებს ლენინიზმის გზით მუშათა საბოლოო გამარჯვების საქმეს.

ს. ლომიძე.

# რადიო-დეპეშები

## საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა.

ყრილობის მეორე დღეს გაიმართა კამათი სემოარის მოხსენების გარშემო. ადგილებიდან მოსულმა დელეგატებმა მოიწონეს პოლიტბიუროს საქმიანობა და განაცხადეს, რომ პარტიის რეორგანიზაცია ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების პრინციპზე დღითი დღე აძლიერებს კავშირს მასებთან.

ყრილობამ ერთხმად მოიწონა მოხსენება და სამართლიანად სცნო მონატის, როსმერისა და დულაგარდის გარიცხვა პარტიიდან.

მუშათა და გლეხთა ბლოკის შესახებ ილაპარაკა კაშენმა, რომელმაც განაცხადა, რომ მუშათა და გლეხთა ბლოკის სია გამოქვეყნებულ იქნება დამოკიდებულად ყოველგვარ შეთანხმების გარეშე სოციალისტებთან.

საღამოს გაიმართა მიტინგი, რომელსაც დაესწრო 2.000-ზე მეტი კაცი. მიტინგი ერთსულოვნად ჩატარდა.

## მასწავლებელთა საკავშირო ყრილობა.

### ზინოვიევის საბოლაოო სიტყვა.

#### ქალაქის მასწავლებელი.

თავის საბოლაო სიტყვაში ზინოვიევი პასუხს აძლევს წერილობითი შეკითხვებზე. შეეხო შეკითხვას იმის შესახებ, რომ ქალაქის მასწავლებელს თითქოს ნაკლები ყურადღება ექცეოდესო და განაცხადა: „როდესაც ჩვენ ხაზს ვუსვამთ სოფლის მაწავლებლის როლს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ნაკლები ყურადღებით ვეპყრობით ქალაქის მასწავლებელს. საჭიროა მხოლოდ ანგარიში გაუწიოთ იმ გარემოებას, რომ სოფელი შედარებით ქალაქთან ღარიბია კულტურული ძალებით და ეს ნაკლი სოფლად უნდა შეავსოს მასწავლებელმა.

### დასასრულ ამხ. ზინოვიევი უსურვებს მასწავლებლობას:

1) რათა ის ჩაბმულიყოს საზოგადოებრივ მუშაობაში

2) ახლოს გლეხთან. მაგრამ გახსოვდეთ, რომ გლეხი ცრუმორწმუნეა. ებრძოლეთ გონივრულად და წინდახედულათ ამ ცრუმორწმუნეობას.

3) იმუშავეთ თავის განვითარებაზე. გააფართოვეთ თავისი მსოფლმხედველობა კულტურულად, პოლიტიკურად და მეცნიერულად.

4) სკოლა ცხოვრებასთან შეთანხმებული!

5) მეტი სიმხნევე და ენერგია! არ უნდა დაეცე სულით პირველი დაბრკოლების წინაშე. მეტი სიმხნევე და ენერგია აი ძირითადი თვისება ლენინის მოწაფის, უმთავრესი თვისება ადამიანის, რომელსაც სურს გახდეს ლენინელი."

## გამოსათხოვარი ბანკეტი.

კავშართა სახლში მასწავლებელთა ყრილობის დელეგატებს გაუმართეს გამოსათხოვარი ბანკეტი, რომელზედაც მონაწილეობდენ რიკოვი, ლუნაჩარსკი და პოკროვსკი.

დელეგატები დიდის აღფრთოვანებით შეხვდენ ამხ. რიკოვს, რომელსაც მიესალმა ერთი დელეგატი. საპასუხო სიტყვაში რიკოვმა ილაპარაკა იმ შთაბეჭდილების შესახებ, რომელიც მოახდინა მასზე დელეგაციის შეხვედრამ კრემლში. „მოვიდნენ მასწავლებლები— განაცხადა რიკოვმა—დასხდენ და ხმას არ იღებენ. 40 წუთი გავიდა, სანამ ხმას ამოიღებდენ. მაგრამ ეხლა კი მასწავლებლობა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა ხელისუფლება მართლაც სახალხო ხელისუფლებაა".

რიკოვის სიტყვას გამოეხმაურა ერთი მასწავლებელი, რომელმაც განაცხადა: „მასწავლებლები სდუმდენ აღტაცებისაგან, რომ ისინი შეხვდენ მშრომელთა მთავრობის მეთაურს. უმრავლესობამ, რომლითაც შეხვდენ დელეგაციას კრემლში, პირველად გააკვირვა ის, ხოლო შემდეგ კი „გაიმარჯვა მათზე".

ბანკეტი დიდის აღფრთოვანებით ჩატარდა.

# საბჭოთა კავშირში

## სანათლიდებო ბაზრობის გახსნა.

ხარკოვში გაიხსნა სანათლიდებო ბაზრობა. როგორც სჩანს, ბაზრის ვაჭრობა გაცხოველებულად ჩატარდება.

## ნიჟეგოროდის ბაზრობა.

18 იანვარს დიდძალი მოქალაქეების თანდასწრებით გაიხსნა ნიჟეგოროდის ბაზრობა. ბაზრობაზე წარმოდგენილია სხვა და სხვა სოფლის ნაწარმოები. სახელმწიფო ვაჭრობამ მოაწყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელმაც მიიზიდა დიდძალი გლეხობა. ბაზრობა გაგრძელდება 5 დღე.

## 245 საქმე ნახევარი წლის განმავლობაში.

ნახევარი წლის განმავლობაში აღძრულ იქნა 245 საქმე მუშკორებისა და სოფლის კორესპონდენტების ცნობების მიხედვით.

## ნამდვილი „სმიჩკა"

ცარიცინის ტყის ქარხნების მუშებმა იმუშავეს 4 საათი შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლის სასარგებლოდ. ყოველ ღარიბ ოჯახს დაურიგდა 10-10 მანეთი.

# ამბები სოფლებიდან.

### კომკავშირის კლუბი.

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა გადასდო 606 მანეთი ადგილობრივ ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის კლუბის მოსაწყობათ.

### ბორანი სოფლად.

გორის აღმასკომმა გადასდო 1.500 მანეთი სოფ. კავთის ხევში მდ. მტკვარზე ბორანის მოსაწყობათ. ბორანი გაკეთებულ იქნება რკ. გზის სადგურის პირდაპირ.

### ტყეების დაცვა.

შორაპნის აღმასკომმა დაადგინა მოიწვიოს ტყეების გამგეთა თათბირი და გამოიმუშაოს გეგმა ტყეების დასაცავათ. ტყეების დაცვის საქმეში ჩათრეულ იქნებიან აგრეთვე თემ აღმასკომებიც.

### აფთიაქები სოფლათ.

გადაწყვეტილია მოეწყოს საპუნქტო აფთიაქები შორაპნის მაზრის შემდეგ სოფლებში: მუხური, ქვაციხე, კიცხი, ხრეითი, კაცხი, არგვეთი, ჩხიროული, მარელისი, მერევი, ლიჩი, ხუნევი, ბელლევი და დილიკოურში.

### სოფ. ტაძრისი და დგვარისი.

სოფ. ტაძრისის და დგვარისის მცხოვრებლებმა იშუამდგომლეს გორის აღმასკომის წინაშე, რომ აღნიშნული სოფლები მიწერილ იქნეს ბორჯომის რაიონზე.

### სანერგეს მოსაწყობათ.

გორის აღმასკომმა გადასცა ცეკავშირს სანერგეს მოსაწყობათ 20 დესეტინა ადგილი ცხინვალის ახლო.

### ფიზკულტურა სოფლათ.

შორაპნის აღმასკომმა დაავალა ადგილ. მეურნ. განყოფილებას შეიძინოს ფიზკულტურისათვის საჭირო იარაღები, რომლებიც დაეთმობა სოფლის ახალგაზრდობას საჲარჯიშოთ.

### ფილოქსერა კახეთში.

სიღნაღის მაზრის აგრონომების თათბირმა გამოარკვია, რომ ფილოქსერა მაზრაში გავრცელებულია 5.500 დესეტინაზე, რაიც უდრის ვენახების დიდი ნაწილის განადგურებას.

## ჩვენი არმიელები ამხ. ლენინის გარდაცვალების წლის თავზე.

18 იანვარს პირველი ლეგიონის 7-დე ასეულში შესდგა კომუჯრედის კრება, რომელსაც დაესწრენ პარტიის წევრები, ახალგაზრდ. ლენინური კავშირის წევრები და ყველა უპარტიო წითელ არმიელები. სხვა მნიშვნელოვან საკითხებს შორის დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის შესრულების გამო, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. დ. ცინცაძემ. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო ამხანაგებს ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ უპარტიო წითელ არმიელებმა შემოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: **„ჩვენ პირველი ლეგიონის მეშვიდე ასეულის უპარტიო წითელ-არმიელები ვფიცავთ, რომ შევისწავლოთ ლენინიზმი და სასტიკად შევებრძოლოთ მისი დამახინჯების ყოველგვარ ცდებს..**

**გაუმარჯოს ლენინიზმს, გაუმარჯოს მისით შეიარაღებულ კომუნისტურ პარტიას".**

რეზოლიუციამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია კრების შემადგენლობაში და ერთხმად „ვაშას" ძახილით იქნა მიღებული.

სამხკორი ა. ოდიშარია.

## რებუსი № 2



შემდეგ №-ში გამოცხადებულ იქნება იმ წითელ-არმიელთა სახელი და გვარი, ვინც ახსნა რებუსი № 1-ლი პირველ რიგში ამხსნელს გაეგზავნება გაზეთი ერთი თვით, მის მიერ ნაჩვენებ მისამართზე.

# ახალი ამბები.

— **სამხ. კოოპერატივის მოღვაწეობა.** ქართული ჯარის სამხ. კოოპერატივმა „ევკოგრუზმა" გადაწყვიტა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება მესაქონლეობასაც. ამ მიზნით მან თავის მამულში (ბორჩალოში) მოაწყო მეცხვარეობის, მეკურდღლეობის და მეღორეობის ფერმები.

— **საქართველოს რუქა.** შინ. საქ. კომისარიატი შეუდგა საქ. ადმინისტრატიულ—გეოგრაფიულ რუქის ხელ-ახალ გამოცემას 10 ვერსის მასშტაბით.

— **მცხეთის შემოერთების გამო.** მცხეთის ტფილისზე შემოერთების გამო ტფილისის აღმასკომმა წინადადება მისცა მილიციის უფროსს, მოაგვაროს მცხეთის მილიციის საორგანიზაციო მხარე.

— **წითელი ჯვრის დახმარება მოსახლეობისათვის.** საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებამ შეიმუშავა 1925 წლის მოღვაწეობის გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებულია თუ რა სახით უნდა გაეწიოს დახმარება სოფლებს საზოგადოების მიერ.

— **ფიცის მიღება.** დღეს, ამ. კავკ. ცენტ. აღ. კომიტეტის პრეზიდიუმი მიიღებს წითელ ფიცს ჯავშნოსანთა ნაწილების ახალწვეულთაგან.

— **საცდელი დაწესებულებები** მიწად-მოქმედების კომისარიატის ცნობით ამ ჟამად საქართველოში არსებობს 7 სასოფლო-სამეურნეო საცდელი დაწესებულება.

— **სამხ. პირთა საყურადღებოთ.** დივიზიის წიგნთსაცავი განყოფილება ღებულობს შეკვეთებს წიგნების ასაკინძავათ. სამხედრო პირებს ეძლევათ შეღავათი.

## ხელოვნება.

— **მეთაურთა სკოლაში 21 და 22 იანვარს.** ლენინის გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავათ გაიმართება საღამოები:

1. უბედურების წინ. (სცენა.)

2) მოკვდა ლენინი! (სცენა-გუნდი).

3) 9 და 21 (პიესა).

4. ბრანდლურია და ბურჟუიჩიკები (სცენა)

5. ლენინის ანდერძი (სცენა, სურათი) მონაწილეობენ კურსანტები.

— **ავლაბრის თეატრი.** ავლაბრის თეატრის შესანახათ და იქ წარმოდგენების გასამართავათ ქალაქის აღმასკომმა გადასდო 5. 000. მან.

პასუხისმგებელი
რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

# განცხადება.

უკანასკნელ ხანებში ჩვენ გაზეთის საშვალებითაც მივმართედ დავალიანებულ ამხანაგებს ნაწილებიდან შემოეტანათ წაღებულ მანუფაქტურის ხვედრი საფასური, მაგრამ ამ საშუალებამაც არ გასჭრა.

ამით **ევკოგრუზის** პრეზიდიუმი მევალეებს უკანასკნელად მოაგონებს მათ მოვალეობას. იმ შემთხვევაში თუ ისინი დარჩენილ ვალს არ დაფარავენ იანვრის ჯამაგირიდან, გამგეობა იძულებული იქნება იმათ, ვისაც ვალი არ გადაუხდია, დაუხუროს მოკლე ვადიანი კრედიტი, მოუსპოს წევრობის უფლებები და საქმე გადასცეს სასამართლოს.

**ევკოგრუზის პრეზიდიუმი.**

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. ტირაჟი 1200.